



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 184

2016 წლის 09 სექტემბერი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის შეფასების პირველი ეტაპზე გამოვლენილი საუკეთესო ქულების მქონე პროექტების დამტკიცების შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 11 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის „დ“ პუნქტის და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 15 ივნისის N124 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო კონკურსის პირობების მე-6 მუხლის „ზ“ პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის გრიგოლ აბულაძის სამსახურებრივი ბარათის (N1042949, 08.09.2016) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის პირველი ეტაპზე ექსპერტების შეფასების საფუძველზე პროექტების რანჟირებული ნუსხა ამ ბრძანების დანართი N1 შესაბამისად.
2. დამტკიცდეს მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის კონკურსის შედეგად პროექტების შეფასების პირველი ეტაპზე დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე საუკეთესო ქულების მქონე 25 პროექტი ამ ბრძანების დანართი N2 შესაბამისად.

3. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, გრიგოლ აბულაძეს ამ ბრძანების დანართი N2 გათვალისწინებული პროექტების მტკუ-ში გადაგზავნის უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

თინათინ ბოჭორიშვილი



გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

რანჟირებული ნუსხა

N	პროექტის შიფრი	პროექტის დასახელება	წამყვანი ორგანიზაცია	თანამონაწილე ორგანიზაცია	საბოლოო საშუალო ქულა
1	STCU-2016-04	ექსტრემალურ სიტუაციებში ობიექტების განთავსებისა და ტვირთების ტრანსპორტირების დაგეგმვა	თსუ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	34
2	STCU-2016-48	ახალი ბიოდეგრადირებადი კატიონური პოლიმერები არგინინისა და სპერმინის საფუძველზე - სამედიცინო დანიშნულების მრავალფუნქციური ბიომასალები	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი		34
3	STCU-2016-53	ობიექტების ამოცნობის ახალი პოლარიმეტრული მეთოდი ტექნიკური ხედვის მონოკულარული სისტემისათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		34
4	STCU-2016-61	ლოგიკური გეიტების აგება სამდონიანი კვანტური სისტემის გეომეტრიულ ფაზაზე და მონოდრომიაზე დაფუძნებული კვანტური გამომთვლელისათვის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		34
5	STCU-2016-16	ფთორშემცველი მყარი პოლიმერ ელექტროლიტები ენერჯის შესანახი მოწყობილობებისათვის	თსუ		33.5
6	STCU-2016-23	რეაქციაში შემავალი ფაზების ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრა ახალი კომპოზიტების მისაღებად თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მეთოდით	სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი		33